კრეატულობის მაჩვენებლის განსაზღვრა და მისი კავშირის კვლევა თვითშეფასებასთან თბილისის საავტორო სკოლის V-VI კლასის მოსწავლეებში

ნათია ცერცვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის სპეციალისტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს, კრეატულობის დონის განსაზღვრა 10-11 წლის ასაკის მოსწავლეებში და იმის შემოწმება, იმყოფება თუ არა კორელაციაში თვითშეფასებასთან და/ან აკადემიურ მოსწრებასთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ერთ-ერთი ელიტარული სკოლის (გამოირჩევა სწავლების თანამედროვე მიდგომებით) V-VIკლასის მოსწავლეებმა. კვლევის მეთოდი არის თვისებრივი, კრეატულობის შესამოწმებელ ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ტორანსის (Torrance) კრეატული აზროვნების ტესტები, თვითშეფასების შესამოწმებლად კი - დემო რუბინშტეინის მიერ შემუშავებული კითხვარი. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მოცემულ საკვლევ ჯგუფში, თვითშეფასებასა და კრეატულობას შორის არ არსებობს არანაირი კორელაცია, ისევე როგორც, კრეატულობასა და აკადემიურ მოსწრებას შორის. აღნიშნულ სკოლაში, კრეატულობის საშუალო მაჩვენებელი არის საშუალო და საშუალოზე დაბალი, თვითშეფასების - არაადეკვატური, ხოლო აკადემიური მოსწრების საშუალო და მაღალი. განსხვავება იყო ტორანსის ტესტის ვერბალურ და არავერბალურ ნაწილებს შორის. მოსწავლეთა უმრავლესობას მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა არავერბალურ ნაწილში. კვლევამ, ასევე გამოავლინა სქესთა შორის განსხვავება, გენდერული გადანაწილების მიხედვით, გოგონებს მეტად განვითარებული აქვთ შემოქმედებითი უნარები, ვიდრე ვაჟებს. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული შედეგების განზოგადება დაუშვებელია, ვთვლი, რომ შესაძლოა ეს კვლევა აღმოჩნდეს კარგი წინაპირობა იმისათვის, რომ ჩატარდეს ლონგიტიდური ექსპერიმენტი საქართველოში. კვლევაში გამოიყო ისეთი საკითხები, რომლის უფრო დეტალურად შესწავლა საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის.